სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

67365312866619

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191076429

რეგისტრაციის თარიღი

06.09.2019 წ

ნოტარიუსი ია ყიფიანი: ია ყიფიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
ტელეფონი: 570506164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის ექვს სექტემბერს, მე-ია ყიფიანს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა ქალბატონმა **ემილ მუსელიანმა** (დაბ. 29.06.1950 წ, პირადი № 01025019282, რეგისტრიებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 14-16, ბინა 28).

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს "**მეგა აუტო ტრანსფორმერი**"-ს (ს/კ 405309447) შესახებ, გაცემული 30/12/2018 12:50:31 მდგომარეობით, რეგისტრაციის ნომერი B18212504, რის საფუძველზე დავადგინე, რომ ის არის არის აღნიშნული საზოგადოების დირექტორი. მისი სურვილი როგორც შპს "**მეგა აუტო ტრანსფორმერი**"-ს წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს **ივერი შელეგიას**.

მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე დავალების გარიგებას ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცხრამეტი წლის ექვს სექტემბერს, ქალბატონმა **ემილ მუსელიანმა** (დაბ. 29.06.1950 წ, პირადი № 01025019282, რეგისტრიებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 14-16, ბინა 28), როგორც შპს "**მეგა აუტო ტრანსფორმერი**"-ს (ს/კ 405309447) დირექტორმა - შემდეგში "მიმნდობი პირი" სრული უფლებამოსილება მიანიჭა ბატონ **ივერი შელეგიას** დაბ. 1985 წლის 22.11, პირადი № 01025018304 , რეგისტრირებული ქ. თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 64 ბ. 3)-შემდეგში "მინდობილი პირი" იყოს შპს "**მეგა აუტო ტრანსფორმერი**"-ს (ს/კ 405309447) სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი შემდეგი საქმიანობის საწარმოებლად, კერძოდ:

იყოს შპს "მეგა აუტო ტრანსფორმერი"-ს (ს/კ 405309447) დირექტორის წარმომადგენელი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული, ზედამხედველობის, არქიტექტურის, ურბანულ და ნებისმიერ სხვა სამსახურში, აწარმოოს მოლაპარაკებები, შეათანხმოს, დააკორექტიროს პროექტი, მიიღოს ნებართვა შეთანხმებულ პროექტზე, მიიღოს დემონტაჟის ნებართვა საჭიროების შემთხვევაში ვადა გაუგრძელოს ნებართვას. მიიღოს, წარადგინოს დოკუმენტაცია, ცნობა, განაცხადი და ა.შ. სარეკონსტრუქციო, სამშენებლო პროექტი, შეთანხმებული დოკუმენტაცია, ნებართვა, განახორციელოს პროექტის კორექტირება, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, გადაიხადოს საზღაური და ნებისმიერი მოსაკრებელი და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება ნებართვების ან პროექტების მიღება/წარდგენასთან დაკავშირებით.

იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ბუნებრივი აირის – შპს "ენერჯი თბილისი", ელექტროენერგიის - ს.ს. "თელასი", წყალმომარაგების – შპს "ჯორჯიან უათერ ენდ ფაუერი", ინტერნეტპროვაიდერი – შპს "კავკასუს ონლაინი", "სილქნეტი" და ა.შ, დასუფთავების და ყველანაირი კომუნალური მომსახურების სამსახურებში, უძრავ ქონების გამრიცხველიანებასთან, გაზიფიკაციასთან, აბონენტის რეგისტრაციასთან ან ნებისმიერ სხვა ქმედებასთან დაკავშირებული იურიდიული და ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმებისას, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, ხელი მოაწეროს მარწმუნებლის მაგიერ სააბონენტო ხელშეკრულებას, განცხადებას. გადაიხადოს ნებისმიერი სახის გადასახადი, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგივრად, განახორციელოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერ მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ დავალების გარიგებაში, მაგრამ აუცილებელია შპს "მეგა აუტო ტრანსფორმერი"-ს (ს/კ 405309447) უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად, შესაბამისი ქვეყნის, რესპუბლიკის, რეგიონის კანონმდებლობის შესაბამისად.

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს განუსაზღვრელი მოქმედების ვადით.

მინდობილობის ხელშეკრულება ხელმოწერილია ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლია 29.12. № 507 დადგენილების 31.7 -მუხლის საფუძველზე – 10.00 ლარი, მუხლი 39 – ის საფუძველზე – 2 ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის. სულ 12.00 ლარი

საქართველო GEORGIA ГРУЗИЯ ნოტარიუსი NOTARY НОТАРИУС ია ყიფიანი IA KIPIANI ИА КИПИАНИ *01008020803*

ნოტარიუსი ია ყიფიანი